

## საქართველოს სტანდარტი

---

სსკ 01.040.03; 03.120.20

შესაბამისობი შეფასება - ტერმინოლოგია და ზოგადი პრინციპები

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საინფორმაციო მონაცემები

1 **შემოტანილია:** სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ.

განხილულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 2-ის „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ მიერ.

2 **მიღებულია:** სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 09/11/2022 წლის №86 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 2-ის „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო-ს) და საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (იეკ-ის) სტანდარტის ისო/იეკ 17000:2020 „შესაბამისობის შეფასება - ტერმინოლოგია და ზოგადი პრინციპები“ იდენტურ თარგმანს (IDT).

4 პირველად

5 **რეგისტრირებულია:** სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში 09/11/2022 წელი №268-1.1-00457

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სარჩევი

წინასიტყვაობა		III
შესავალი		V
1 გამოყენების სფერო		1
2 ნორმატიული მითითებები		1
3 ტერმინები და განმარტებები		1
4 შესაბამისობის შეფასების ზოგადი ტერმინები		1
5 ძირითად ცნებებთან დაკავშირებული ტერმინები		5
6 შერჩევასა და განსაზღვრებასთან დაკავშირებული ტერმინები		5
7 შემოწმებასთან, გადაწყვეტოლებასთან და ატესტაციასთან დაკავშირებული ტერმინები		7
8 ზედამხედველობასთან დაკავშირებული ტერმინები		8
9 ვაჭრობასთან და რეგულირებასთან დაკავშირებული ტერმინები		9
დანართი A (საინფორმაციო)	შესაბამისობის შეფასების პრინციპები	12
დანართი B (საინფორმაციო)	სხვა სტანდარტებით განსაზღვრული მსგავსი ტერმინები	19
ბიბლიოგრაფია		26

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

## წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და იეკ-ი (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) ქმნიან მსოფლიო სტანდარტიზაციის სპეციალიზებულ სისტემას. ეროვნული ორგანოები – ისო-ს ან იეკ-ის წევრები – ტექნიკური კომიტეტების მეშვეობით მონაწილეობენ საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაში. ეს ორგანოები შეიქმნა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ ტექნიკური საქმიანობის ცალკეულ სფეროებში სამუშაოების შესასრულებლად. ისო-ს და იეკ-ის ტექნიკური კომიტეტები თანამშრომლობენ საერთო დაინტერესების სფეროებში. სხვა სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, ისო-სთან და იეკ-თან კავშირში, ასევე მონაწილეობენ ამ სამუშაოებში.

წინამდებარე დოკუმენტის შესამუშავებლად და მისი შემდგომი გამოყენებისთვის განკუთვნილი მეთოდები აღწერილია ისო/იეკ-ის დირექტივების 1-ლ ნაწილში. კერძოდ, უნდა აღინიშნოს დამტკიცების სხვადასხვა კრიტერიუმი ისო-ს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებისთვის. წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ისო/იეკ-ის დირექტივების მე-2 ნაწილის სარედაქციო წესების შესაბამისად (იხ. [www.iso.org/directives](http://www.iso.org/directives)).

ყურადღებას იქცევს ალბათობა იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტის ზოგიერთი ელემენტი შესაძლებელია საპატენტო უფლებების საგანი იყოს. ისო არ იღებს პასუხისმგებლობას რომელიმე ან ყველა მსგავსი საპატენტო უფლების იდენტიფიცირებაზე. დოკუმენტის შემუშავებისას იდენტიფიცირებული ნებისმიერი საპატენტო უფლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება შესავალში და/ან ისო-ს მიღებული საპატენტო დეკლარაციების სიაში (იხ. [www.iso.org/patents](http://www.iso.org/patents)) ან იეკ-ის საპატენტო დეკლარაციების სიაში (იხ. <http://patents.iec.ch>).

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ნებისმიერი სავაჭრო დასახელება არის მომხმარებლების კომფორტისთვის მიწოდებული ინფორმაცია და არა დამტკიცება.

სტანდარტების ნებაყოფლობითი ხასიათის ასახსნელად, შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული ისო-ს სპეციალური ტერმინები და ფორმულირებები, და აგრეთვე ინფორმაცია ისო-ს მიერ ვაჭრობაში მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) პრინციპების დაცვის შესახებ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების თაობაზე (ტბტ) იხილეთ მითითებულ URL-ში (რესურსის უნიფიცირებული მაჩვენებელი): [www.iso.org/iso/foreword.html](http://www.iso.org/iso/foreword.html).

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ისო-ს შესაბამისობის შეფასების კომიტეტის (კასკო) მიერ.

წინამდებარე მეორე გამოცემა აუქმებს და ცვლის პირველ გამოცემას (ისო/იეკ 17000:2004), რომელიც ტექნიკურად გადაიხედა.

ძირითადი ცვლილებები წინა გამოცემასთან შედარებით არის შემდეგი:

- დაემატა ახალი ტერმინები: „შესაბამისობის შეფასების ობიექტი“ (იხ. [4.2](#)), „მფლობელი“ (იხ. [4.13](#)), „მიუკერძოებლობა“ (იხ. [5.3](#)), „დამოუკიდებლობა“ (იხ. [5.4](#)), „ვალიდაცია“ (იხ. [6.5](#)), „ვერიფიკაცია“ (იხ. [6.6](#)), „გადაწყვეტილება“ (იხ. [7.2](#)), „ვადის გასვლა“ (იხ. [8.4](#)) და „აღდგენა“ (იხ. [8.5](#));

## IV

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

- შეიცვლა შესაბამისობის შეფასების სისტემის კონცეფცია;
- დოკუმენტის ძირითადი ნაწილიდან ამოღებულია ტერმინის „პროდუქცია“ განმარტება და დამატებულია B დანართში;
- A დანართმა განიცადა სარედაქციო გადასინჯვა, რომელიც შემოიფარგლა ტერმინებისა და განმარტებების ცვლილებებით 4-9 პუნქტებში.
- განივრცო B დანართი.

ნებისმიერი გამოხმაურება ან შეკითხვა წინამდებარე დოკუმენტის შესახებ უნდა მიეწოდოს მომხმარებლის ეროვნულ სტანდარტების ორგანოს. ამ ორგანოების სრული სია შეგიძლიათ იხილოთ [www.iso.org/members.html](http://www.iso.org/members.html)-ზე.

ისო/იეკ 17000:2020-ის წინამდებარე შესწორებულ ვერსიაში შესწორებულია ფასის მაჩვენებელი. ტექნიკური შინაარსი უცვლელი რჩება.

## შესავალი

ისო-ს შესაბამისობის შეფასების კომიტეტი (კასკო) შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისობის შეფასების საქმიანობებთან, როგორცაა: გამოცდა, ინსპექტირება და სერტიფიცირების სხვადასხვა სახე. მრავალი წლის განმავლობაში, ისო/იეკ-ის მე-2 სახელმძღვანელო დოკუმენტი მოიცავდა შესაბამისობის შეფასების საბაზო ლექსიკონს, რომელიც შედგებოდა მცირერიცხოვანი ტერმინებისა და განმარტებებისგან. ეს იყო საბაზო ლექსიკონის შედგენის პირველი მცდელობა, რათა გაემარტივებინათ ინფორმაციის გაცვლა და ტრადიციული სამრეწველო ნაწარმის სტანდარტების საფუძველზე გაერკვიათ პროდუქციის სერტიფიცირების საკითხები.

2000 წელს კასკო-მ გადაწყვიტა შესაბამისობის შეფასების ტერმინოლოგია ამოეღო ისო/იეკ-ის მე-2 სახელმძღვანელო დოკუმენტიდან და მის ნაცვლად შემოგვთავაზა დამოუკიდებელი ლექსიკონი, რომელიც უფრო ადვილად გამოყენებადია შესაბამისობის შეფასების თაობაზე დაგეგმილი საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში და აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტების შედგენის ან გადახედვისას. წინამდებარე დოკუმენტის პირველი გამოცემა გამოიცა 2004 წელს, როგორც შეთანხმებული საფუძველი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა უფრო სპეციფიკური ცნებების სათანადოდ განსაზღვრა და აღნიშვნა ყველაზე შესაფერისი ტერმინებით.

დამატებითი ტერმინების ცნებებისათვის, რომლებიც მიეკუთვნება მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობას შესაბამისობის შეფასების სფეროში, როგორცაა მაგ., აკრედიტაცია, პერსონალის სერტიფიკაცია და შესაბამისობის ნიშნების გამოყენება, არ არის შეტანილი წინამდებარე დოკუმენტში, მაგრამ მოცემულია ამ საქმიანობებთან დაკავშირებულ შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში.

ვაჭრობასთან და რეგულირებასთან დაკავშირებული ტერმინები და განმარტებები მოცემულია მე-9 პუნქტში. ისინი განკუთვნილია არა მარტო მათი გამოყენების სტანდარტიზაციისთვის შესაბამისობის შეფასების საზოგადოების ფარგლებში, არამედ აგრეთვე მარეგულირებელი და საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით ვაჭრობის ხელშეწყობაში ჩართული პოლიტიკოსების დასახმარებლად.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ტერმინები და განმარტებები, განსაკუთრებით მე-6 და მე-7 პუნქტებში, ასახავს კასკო-ს მიერ 2001 წლის ნოემბერში ფუნქციონალური მიდგომის მიღებას.

გარკვეული ცნებების, მათი დაჯგუფებისა და ურთიერთკავშირის უკეთ გასაგებად, ფუნქციური მიდგომის აღწერა მოცემულია საინფორმაციო A დანართში.

წინამდებარე დოკუმენტში შეტანილი ტერმინები ეხება განმარტებისთვის საჭირო ცნებებს. შესაბამისობის შეფასების ცნებების აღსანიშნავად გამოყენებული ზოგადი ტერმინები, რომლებისთვისაც საკმარისია საყოველთაოდ ხმარებული ენის გამოყენება, არ შედის ამ დოკუმენტში. ტერმინები, რომლებიც არ არის საერთო შესაბამისობის შეფასების ყველა საერთაშორისო სტანდარტისთვის და სპეციალური განმარტებები კონკრეტული გამოყენებისთვის, არ არის შეტანილი წინამდებარე დოკუმენტში, მაგრამ შედის კონკრეტულ შესაბამის სტანდარტში.

## VI

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სხვა დოკუმენტებში განსაზღვრული მსგავსი ტერმინები ჩამოთვლილია B დანართში:

- ტერმინები, რომლებიც გამოიყენება შესაბამისობის შეფასების კონკრეტული ასპექტებისთვის, როგორც განსაზღვრულია შესაბამისობის შეფასების სხვა სტანდარტებით;

- ტერმინები, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება შესაბამისობის შეფასების კონტექსტში, რომელთა განსაზღვრებები გამოქვეყნებულია შესაბამისობის შეფასების სტანდარტების ფარგლებს გარეთ.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.